ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №71

2013 წლის 23 აპრილი

ს. წეროვანი

„ახალგორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 20 თებერვლის №45 დადგენილებაში (სსმ. 22.02.2012. 010250000. 35.150.016023) ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე და 43-ე მუხლების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 22-ე მუხლების შესაბამისად ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილი იქნას ცვლილება „ახალგორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 20 თებერვლის №45 დადგენილებაში (სსმ. 22.02.2012. 010250000. 35.150.016023) და დადგენილების №1 დანართში ,,ახალგორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები“ ამოღებული იქნეს:

1. წინაგრის თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული;

უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – სპეციალისტი.

2. ზაყორის თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული;

უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – სპეციალისტი.

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შევიდეს 2013 წლის 1 მაისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ავთანდილ ყოჩიშვილი**